2 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია
ყველანი - არჩევნებზე!

ხაშურის მოამბე

№29 (311) 27 სექტემბერი, ორშაბათი, 2021 წელი

საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: იმედი მაქვს, საარჩევნო პროცესი მშვიდობიანად და ექსცესების გარეშე ჩაივლის

2 ოქტომბერს ჩვენი ქვეყანა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადება. გამონაკლისს არც ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისია წარმოადგენს. როგორც აღმოჩნდა, არჩევნებთან დაკავშირებით, მცირე ცვლილებები კანონმდებლობაში წელსაც დაემატა. გარდა ამისა, პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, წელსაც განსაკუთრებული მზადყოფნა და გარკვეული ნორმების დაცვა უწევთ. ამ და სხვა პროცესების შესახებ, ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, **იმედო ლაცაბიძე** ისაუბრებს:

- ბატონო იმედო, როგორ მიდის არჩევნებისთვის მზადების პროცესი?

–ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებთან, უკვე ვასრულებთ მეხუთე ეტაპს, მეექვსე ეტაპი განკუთვნილია ხელმძღვანელი პირებისათვის. დანარჩენს რაც შეეხება, საარჩევნო უბნები ყველგან გახსნილია და სიები გამოკრულია, ინვენტარიც შეტანილია და საარჩევნო



უბნებზე საარჩევნო დოკუმენტაციასა და სხვა ინვენტარს უკვე ვამზადებთ გადასაცემად საარჩევნო უბნებისთვის.

- როგორც ვიცით, გარკვეული ცვლილებელი დაემატა კანონმდებლობაში...

–რა თქმა უნდა, ცვლილებები არის კანონმდებლობაში წილისყრის პროცედურებთან დაკავშირებით: თუ ადრე ორი წილისყრა ტარდებოდა დილით, გადასატანი საარჩევნო ყუთის და სხვა ფუნქციების გამოსავლენად, ახლა გამოეყო რეგისტრატორების წილისყრა და სამი წილსიყრაა ჩასატარებელი. პირველი წილისყრა, სწორედ რეგისტრატორების გამოსავლენად ტარდება და აქ მონაწილეობას იღებენ ოლქის მიერ გამოვლენილი კომისიის წევრები, ანუ პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრი რეგისტრატორი ვერ იქნება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არ გვაქვს გამონაკლისი შემთხვევა და არ აკლია ოლქის მიერ გამოვლენილი წევრები. რაც შეეხება ბოლოს მთვლელების გამოვლენის წილისყრას, აქაც სიახლე გვაქვს–მეხუთე მთვლელი დაემატა. ყველაზე დიდი სიახლე რაცაა, მოხდება არჩევნების პროცესის აუდიო-ვიდეო ფიქსაცია. მთელი დათვლის პროცესი ყუთის გახსნის მომენტიდან საარჩევნო ბიულეტენების დათვლის და საარჩევნო ყუთის დალუქვის ჩათვლით, გადაღებული იქნება.

-კოვიდ. რეგულაციების დაცვა როგორ მოხდება, რამდენად მზად ხართ ამისთვის?

–რაც შეეხება წლევანდელ რეგულაციებს, ამისთვის გარკვეული წესები არსებობს და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეიმუშავა წესები, რომელიც ეხება არჩევნებში მონაწილე ყველა პირს, რომელიც სხვადასხვა ფორმით ჩართულია ამ პროცესში და ვისაც აქვს დასწრების უფლება არჩევნებზე, აუცილებელია პირბადის, ფარის და ხელთათმანის ტარება და ტემპერატურის გაზომვა კომისიის წევრებისთვის. ტემპერატურას არ ვუზომავთ ამომრჩეველს, პირბადის ტარება მისთვისაც სავალდებულოა, ნიღაბს ჩამოიხსნის მხოლოდ ნაკადის მომწესრიგებელთან და რეგისტრატორთან, რომ მოხდეს მისი იდენტიფიცირება. პირბადის გარეშე ამომრჩეველი არ დაიშვება, არქონის შემთხვევაში, ჩვენ გადავცემთ, გვაქვს საწერი კალმები ინდივიდუალური მოხმარებისთვის, ხელის და მაგიდის დასამუშავებელი სადეზინფექციო სითხეები. ყველა უბანზე გვეყოლება დაქირავებული დამლაგებელი.

გასულ წელს, სიახლე იყო და წელსაც რჩება, კაბინას ფარდა ჩამოვხსენით და კედლისკენ შევატრიალეთ, რომ არ მომხდარიყო ქსოვილიდან ინფიცირება ამომრჩევლის.

ამ ეტაპზე, თითქმის სრული მზაობა გვაქვს, ერთადერთი, ბიულეტენების დაბეჭდვა დაიწყება, ჩვენი წარმომადგენელი დაესწრება პროცესს, დავითვლით მათ რაოდენობას და წამოვიღებთ საოლქოში.

იმედი მაქვს, ჩვენს მუნიციპალიტეტში, როგორც წინა წლებში, წელსაც მშვიდობიანად და ექსცესების გარეშე ჩაივლის საარჩევნო პროცესი.

თ. ჯავახიშვილი

ხაშურში ვაქცინირებულთა რაოდენობა 8 ათასს გასცდა

როგორც ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა **დავით ჩიქოვანმა** საუბრისას აღნიშნა, ხაშურში კოვიდ პანდემიის მეოთხე ტალღა დაღმავალია. შეიძლება ითქვას, რომ პიკი გადავიარეთ... მუნიციპალიტეტში ყოველდღიურად დადებითი შემთხვევების რაოდენობა შემცირებულია, თუმცა რაიონისათვის არსებული კოვიდ დადებითობის მაჩვენებელი მაინც მაღალია...

-- **სავარაუდოდ, მეოთხე ტალღის პიკი გადავიარეთ, დაღმართზე წამოვედით... ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გვქონდა დღიურად 90 შემთხვევა, ამ ეტაპზე** 13 შემთხვევა**ა**. ეს ძალიან კარგია ჩვენი რაიონისა**თვის,**



მაგრამ მაინც ბევრია. სანამ არ მივალთ იმ დონემდე, რომ **შემთთხვევები აღარ გვექნება, აი, ეს უკვე იქნება იმედისმომცემი....**

დღეისათვის 312 აქტიური შემ**თხვევაა, გამოჯანმრთელებულია** 5000-ზე მეტი, მთლიანად მიმდინარე წელს **გვყავს** 67 გარდაცვლილი, 8000 მეტი **კი ვაქცინირებულია**.

მიუხედავად იმისა, რომ, ბოლო ერთი კვირაა ხაშურში შემცირდა დაავადებულების რაოდენობა, 50, 70, 90 შემთხვევა, **თითქმის განახევრდა, ყოველდღიურად** 20 და 25 შემთხვევა **რაიონისათვის მაინც ბევრია. ძირითადად, მაინც ოჯახის წევრების სრული შემადგენლობის ინფიცირება ფიქსირდება და ეს რაოდენობა, სწორედ, მათი სტატისტიკაა. შემთხვევები ფიქსირდება ყველა ასაკის ადამიანებში. ახალგაზრდა ასაკი იყო ძალიან ბევრი, დაახლოებით 20 პროცენტი შემთხვევებისა მოდიოდა ამ ასაკობრივ ჯგუფზე, მათ შორის ბავშვებზე. 1, 2 წლის მცირეწლოვნებზეც. როდესაც ინფიცირდება ოჯახი, იქ ყველა ასაკობრივი ჯგუფის ოჯახის წევრი ავადდება კოვიდ** 19-ით.

ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, დელტა შტამი ფიგურირებს ყველგან, რომელიც ცნობილია, რომ გამოირჩევა სწრაფი გავრცელებით. თუ კოვიდ

(დასასრული III გვერდზე)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

კომიტეტი მუშებს მოუწოდებდა არ შეეწყვიტათ გაფიცვა და სამუშაოზე არ გასულიყვნენ. „ნუთუ უკან დავიხიოთ და ისევ დავიდგათ კისერზე უღელი? – ნათქვამია პროკლამაციაში, – ნუთუ დავმშვიდდეთ და შევუდგეთ მუშაობას? არა, არასოდეს... მიხაილოვოში დახოცილი ამხანაგების სისხლით მოსვრილი გვამები დაგხვდებათ წინ სახელოსნოებისა და ფაბრიკა-ქარხნებისაკენ მიმავალთ. ისინი გვიწვევენ საბრძოლველად, ისინი მოითხოვენ შურისძიებას და ჩვენ ვერ დავიხევთ უკან, ვერ გავექცევით მტერს.”418

არაერთი სხვა პროკლამაციაა შემონახული, რომლითაც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი მუშებს აცნობს მიხაილოვოში მომხდარ გაფიცვასთან დაკავშირებულ მოვლენებს, განუმარტავდა მათ, თუ რა სასტიკ ზომებს მიმართა მეფის ხელისუფლებამ მიხაილოველი მუშების წინააღმდეგ.

„მოიგონეთ მიხაილოვო...” ხშირად შეხვდებოდით ამ სიტყვებს პროკლამაციებში.

მიხაილოველ მუშათა გაფიცვის მხარდასაჭერად გაფიცვები მოეწყო ბათუმში, ჭიათურაში...

რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთის კომიტეტის პროკლამაციაში, რომელიც ჭიათურის მარგანეცის მაღაროს მუშათა გაფიცვასთან დაკავშირებით იქნა გამოშვებული, ნათქვამია: „...ბაქოში, თბილისში, მიხაილოვოში, შორაპანში და ყვირალაში მომხდარმა ამბებმა, ჩვენივე მოძმეების გმირულმა და ერთობლივმა მოქმედებამ 17 ივლისს ჩვენც ერთად შეგვყარა, შეგვაერთა, ერთი სული ჩაგვიდგა და ჩვენ მძარცველ-მგლეჯელებზე იერიში მიგვატანინა... გვეყო ამდენ ხანს სიჩუმე, ვერ შეგვაშინებს მხეცი მთავრობა თავისი ხიშტებიანი თოფებით, რომელთაც დაღვარეს სისხლი ჩვენი მოძმეებისა მიხაილოვოში...”

გაფიცვიდან სამი დღის შემდეგ, 17 ივლისს, ხაშურში პოლიციელებმა მოკლეს ნ. ტურაშვილი, მისი დასაფლავებისას ერთდღიანი გაფიცვა გამოცხადდა: დაიკეტა სავაჭროები, სახელოსნოები და სხვა დაწესებულებანი. დასაფლავების პროცესიაში მონაწილეობდა 2000 კაცი. საფლავთან სიტყვა წარმოთქვა ალ. მთვარაძემ, რომელმაც მოუწოდა ხალხს შური ეძიათ მტარვალებზე.

თუ რამდენად დიდი გამოძახილი ჰქონდა მიხაილოველი მუშების გაფიცვას, ამაზე მოგვანიშნებს ერთი საყურადღებო ფაქტი. კერძოდ, 1903 წლის 17 ივლისს ბრიუსელში გაიხსნა რსდმპ II ყრილობა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ყრილობამ ლონდონში გადაინაცვლა.

1 აგვისტოს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე, გაიხსნა ყრილობის მეოთხე სხდომა.

სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს გიორგი პლეხანოვი, რომელიც ყრილობის წინაშე გამოვიდა ინფორმაციით უკანასკნელ პერიოდში რუსეთში მომხდარი რევოლუციური მოძრაობის შესახებ. პლეხანოვმა თავის გამოსვლაში სათანადო ყურადღება დაუთმო მიხაილოვოში მუშათა გაფიცვას. იგი აღნიშნავდა:

„ბაქოში ბობოქრობს საყოველთაო გაფიცვა. გაფიცულები არიან ხუთი ათასამდე მუშა... ამის შემდეგ გაფიცვა დაიწყო თბილისში... გაფიცვამ მოიცვა მრეწველობის ყველა დარგი. სოფელ მიხაილოვოში, თბილისთან ახლოს, გაფიცულების წინააღმდეგ გამოგზავნეს ჯარები, რომელთაც გაფიცულები შეხვდნენ ქვების სროლით, ჯარისკაცები ისროდნენ – 10 მოკლულია, 18 დაჭრილი...’

ამ გაფიცვამ სათანადო ასახვა ჰპოვა გაზეთ „ისკრის” ფურცლებზეც.

1903 წლის 1 სექტემბერს, გაზეთი თავის 47-ე ნომერში წერილში „გაფიცვები კავკასიაში”, ფართოდ აშუქებდა მიხაილოველ მუშათა 1903 წლის 14 ივლისის გაფიცვასთან დაკავშირებულ მოვლენებს.

„...ბრძოლა გაჩაღდა, – აღნიშნავდა გაზეთი „ისკრა” – პრისტავმა უბრძანა, რომ ესროლათ და სახეზე იყო 26 დაჭრილი და მოკლული. ყველა დაჭრილი მძიმედ იყო, თითქმის ყველა უიმედო.”

1903 წლის 22 ოქტომბერს, გაზეთი „ისკრა” კვლავ უბრუნდება მიხაილოველ მუშათა გაფიცვას და ათავსებს საბრალდებო აქტს, რაც მეფის ხელისუფლებამ წაუყენა გაფიცულ მუშებს.

ხელისუფლებამ დააპატიმრა და პასუხისგებაში მისცა ნავთსაქაჩის მემანქანე დიმიტრი ივანეს ძე ჟდანოვი. ზეინკალი ვლადიმერ გაბრიელის ძე ხოზბეროვი (ხოზბერიძე), ზეინკლის თანაშემწე ნიკოლოზ ლავრენტის ძე ფერაძე, დეპოს ზეინკლის თანაშემწეები: გიორგი თევდორეს ძე გუდაძე, ივანე დავითის ძე თედორაშვილი, ვასილ ზურაბის ძე ლაბაძე, დავით რომანის ძე კამკამიძე, დეპოს კანტორის მოსამსახურე ვასილ ალექსანდრეს ძე სამხარაძე, დეპოს მზეთავი გიორგი ალექსის ძე აბესაძე, დეპოს მუშები სერგო ზაქარიას ძე არუთინოვი, რომან გაბრიელის ძე მეგრელიშვილი, დურგალი მათე ბეჟანის ძე მესაბლიშვილი და მეწადე ლეონ გიორგის-ძე ჩახოიანცი.

ქართული პერიოდული პრესა ფართოდ გამოეხმაურა მუშათა გასამართლებას. 19 აგვისტოს, გაზეთი „ივერია” იუწყებოდა, რომ თბილისის ოლქის სასამართლომ 16 აგვისტოს მიიღო საქმე, რომლის მიხედვითაც პასუხისგებაში არიან მიცემული 15 მუშა, რომელსაც „...ხაშურის სადგურზე მომხდარ არეულობაში მონაწილეობის მიღება ბრალდებათ”-ო. გაზეთი იქვე მკითხველს აუწყებდა რომ სასამართლო „ხალხის დაუსწრებლად” განიხილავდა საქმეს.422

1903 წლის 7 ნოემბერს, ქ. გორში, თბილისის სასამართლო სესიამ „დახურულ” ვითარებაში მ. შაფრიანის თავმჯდომარეობით გაარჩია მიხაილოვოს დეპოს მუშების საქმე. მათ ბრალად ედებოდათ მიხაილოვოში 14 ივლისს „...პოლიციისა და ჯარისათვის წინააღმდეგობის გაწევა სამსახურის ასრულების დროს.”

იმავე დღეს, რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა, მუშათა გასამართლების გამო, სპეციალური პროკლამაცია გამოუშვა სახელწოდებით „ჩვენს ამხანაგებს ასამართლებენ!”. მასში ნათქვამი იყო: „...დღეს წარსდგებიან მთავრობის სასამართლოს წინაშე მიხაილოვოს მუშები და ესევე მოელის ექვსი დღის შემდეგ თბილისის მუშებსაც. პირველნი მიხაილოვოს სადგურზე და მეორენი დიდუბეში მომხდარი შეტაკების გამო შეიპყრეს თვითმპყრობელობის ქოფაკებმა, სცემეს, დატანჯეს, ბევრი მათგანი დაასახიჩრეს ველური კაზაკების მათრახებმა ან გაგმირეს „სტრაჟნიკების” ტყვიებმა და სალდათების ხიშტებმა. ზოგი მათი ამხანაგი მიხაილოვოში სრულიად სიცოცხლეს გამოასალმეს, დახოცეს, იმიტომ რომ მათ გაბედეს სიმართლის აღსარება, თავისი ადამიანური უფლებების მოთხოვნა. ისინი შეებრძოლნენ ბნელს და ბნელმა უღვთოდ, უსირცხვილოდ მოუსპო მათ სიცოცხლე. ესეც არ ეყოთ თვითმპყრობელ ქოფაკებს. მათ არ იკმარეს ის ვერაგობა, მხეცობა, ბარბაროსობა, რომელიც მაშინ ჩაიდინეს, ვერ გაძღენ იქ დანთხეული მუშათა სისხლით და ახალი მსხვერპლი, ახალი სისხლი მოითხოვეს. თავრეტდასხმულ თვითმპყრობელ მთავრობას ჯერაც არ აძლევს მოსვენებას აღელვებული ტალღები რევოლუციური მოძრაობისა, რომლებმაც ასე ძლიერად, ძირიან-ფესვიანად შეარყიეს მთელი რუსეთი. და აი, მას მოუწადინებია ჯავრი იყაროს, თავისი გულის ღვარძლი გადმოანთხიოს იმ შემთხვევით მსხვერპლებზე, რომელნიც მის ქოფაკებს ხელში ჩაუვარდათ. 15 მიხაილოველი და 9 თბილისელი მუშა შუა ივლისს აქეთ 4 თვეა იტანჯება ბნელ საკანში ამ სისხლით გაუმაძღარ აფთართა გულის მოსაფხანად.”

დაპატიმრებული მუშების ინტერესებს სასამართლოში იცავდა ცნობილი ადვოკატი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. მასთან ერთად მუშათა ინტერესების დამცველად გამოდიოდნენ გრუზუნბერგი, ნ. ელიავა, ხომენტკოვსკი, კ. ჯაფარიძე, ჯალაფოვი და ტურკევიჩი.

საქმის მოსმენა სამ დღეს მიმდინარეობდა, ჩვენება ჩამოერთვა 60 მოწმეს. 9 ნოემბერს, მთელ დღეს გრძელდებოდა კამათი მუშათა დამცველებსა და ბრალმდებლებს შორის. ოლქის სასამართლომ თითქმის ხუთსაათიანი თათბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი. განაჩენის თანახმად დავით კამკამიძე, დავით თედოზაშვილი და გიორგი გუდაძე გამართლებულნი იქნენ, ხოლო დანარჩენი 12 მუშა დამნაშავედ იქნა ცნობილი. სასამართლომ გაითვალისწინა ნიკოლოზ ფერაძის, ივანე სუხიაშვილის და ვლადიმერ ხოზბერიძის მცირეწლოვანება და ღირსების ჩამოურთმევლად მიუსაჯა 1.5 წლით პატიმრობა. დანარჩენ ბრალდებულებს სასამართლომ მიუსაჯა „...პირადათ თუ მდგომარეობის მოპოვებული უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.” კერძოდ, მათე მესაბლიშვილს და ლევან ჩახოიანცს მიესაჯა 1,5 წლით, ხოლო დიმიტრი ჟდანოვს კვესაძეს, არუთინოვს, სამხარაძეს, ლაბაძეს, მეგრელიშვილს და კიკნაველიძეს 2,5 წლით პატიმრობა.

როგორც პერიოდული პრესიდან ჩანს (ჟ. “კვალი”, გაზ „ივერია” და სხვა) მუშები არ დასთანხმდნენ განაჩენს და განაცხადეს „„საქმე ტფილისის პალატაში უნდა გადავიტანოთო.”

სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოეხმაურა რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტი პროკლამაციით.

„ჩვენი მოლოდინი გამართლდა – ნათქვამია პროკლამაციაში – დაქირავებულმა მოსამართლემ სასტიკი სასჯელი გადაუწყვიტა ჩვენს ამხანაგებს: ციხე, გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ... აი რით უპასუხებს სულთმობრძავი თვითმპყრობელობა გაღვიძებული პროლეტარიატის ძლევამოსილ მოძრაობას...”

კომიტეტი მოუწოდებდა მუშებს ერთიანობისაკენ და არ შეეწყვიტათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა.

აღსანიშნავია, რომ 14 ივლისს გაფიცვა 15 ივლისს ბორჯომის დეპოს გადაედო. აქ გაფიცვის ორგანიზება მოაწყვეს ხაშურიდან ჩასულმა მუშებმა – მ. სუხიევმა, ი. ტაბუცაძემ, ს. ბერაიამ, გ. თურქაძემ, ვ. ბარბაქაძემ, პ. თვალიაშვილმა, დ. ჩხეიძემ, თ. ყიფშიძემ და ა. ქინქლაძემ. აღნიშნული მუშებიც დააპატიმრეს „წაქეზებისთვის”, მაგრამ ისინი შედარებით იოლად – ადმინისტრაციული სასჯელით გადარჩნენ.

იმდენად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 14 ივლისის გაფიცვა ხაშურის სინამდვილეში, რომ მას შემდგომ წლებშიც სათანადო ყურადღება ექცეოდა და არაერთხელ გაუხსენებიათ მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეთა მიმართ, თვითმპყრობელობის მიერ ჩადენილი სისასტიკე, რაც დემოკრატიული იდეებით გამსჭვალულ მშრომელ მასებსა და ინტელიგენციას არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად განაწყობდა.

ერთი წლის შემდეგ, 1904 წლის 13 დეკემბერს, კვლავ იფეთქა ბაქოში მუშათა საყოველთაო გაფიცვამ, რომელიც 1905 წლის 1 იანვრამდე გრძელდებოდა და მუშათა გამარჯვებით დამთავრდა. გაფიცვას დიდი გამოხმაურება ჰქონდა საქართველოში. ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის და სხვა ქალაქების მსგავსად გაფიცვა მოეწყო ხაშურშიც. აქ დეკემბრის ბოლოს რკინიგზელებმა დეპოს მუშების ხელმძღვანელობით მოაწყეს გაფიცვა.

ხაშურის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში მნიშვნელოვან მოვლენებს ჰქონდა ადგილი რუსეთის 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუციის მიმდინარეობის პერიოდში.

1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში მომხდარი ცნობილი მოვლენის გამოძახილი იყო 18 იანვარს თბილისში დაწყებული რკინიგზელ მუშათა გაფიცვა, რომელმაც ფართო გამოძახილი ჰპოვა ხაშურშიც. აქ 26-27 იანვარს მოხდა რკინიგზელთა გაფიცვა. სამუშაო მიატოვეს მეისრეებმა, ვაგონების გადაბმელებმა, ოსტატებმა და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხაშურელი რკინიგზელები ხშირად გლეხობასთან მჭიდრო კავშირში გამოდიოდნენ თვითმპყრობელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ პერიოდში, ხაშურის მოსახლეობის დიდი ნაწილი, სოციალური შემადგენლობის მიხედვით, გლეხობას წარმოადგენდა, რომელთაც თავიანთი პრობლემები გააჩნდათ. მათზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა არა მარტო რკინიგზელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, არამედ საქართველოში ფართოდ გაშლილი აგრარულ-გლეხური მოძრაობაც.

გლეხობაზე ხაშურელი რკინიგზელების რევოლუციურ გავლენაზე კარგად მეტყველებს თბილისის გუბერნატორისათვის გორის მაზრის უფროსის მიერ 1903 წლის 28 აპრილს გაგზავნილი ბარათი, „საჭიროდ ვთვლი მოგახსენოთ, – წერდა იგი გუბერნატორს,– რომ სურამის უბანში იწყება მკაფიოდ გამოკვეთილი გლეხთა მოძრაობა მემამულეთა წინააღმდეგ, რომლის მიზეზია მიწის საკითხი. ერთად შეკრებილი გლეხები, რომლებიც მსჯელობენ ქუთაისის გუბერნიაში შექმნილ ვითარებაზე, ხმამაღლა აცხადებენ, რომ არ სურთ კვლავაც უხადონ ღალა მემამულეებს. უშუალო სიახლოვე ქუთაისის გუბერნიასთან, სურამის უბანში ამ გუბერნიის საზღვრებიდან სხვადასხვა პირის ყოველდღიური ჩამოსვლა, სადგურ მიხაილოვოს მუშათა მასა, რომელიც ამ მოძრაობას ემხრობა, აგრეთვე მოლიბერალო მემამულეების (ყიფიანები ქვიშხეთში) მავნე ზეგავლენა გვაფიქრებინებს, რომ ყოველივე ეს შეიძლება ძალზე ცუდად დამთავრდეს”.

1905 წლის თებერვალ-მარტში, სხვა რეგიონების მსგავსად, ხაშურის რაიონის სოფლებშიც გლეხთა არაერთი გამოსვლა მოხდა. იმართებოდა გლეხთა ყრილობები და შეკრებები. ისინი ბოიკოტს უცხადებდნენ სახელმწიფო მოხელეებს, უარს აცხადებდნენ ბეგარასა და ღალაზე მემამულეების სასარგებლოდ, ქმნიდნენ კომიტეტებს და სხვა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სურამის, გომის, ჩუმათელეთის, ბიჯნისის, ქვიშხეთის, ტეზრის, ალისა და სხვა სოფლის გლეხობა.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

გან-დევნილები...

(ეძღვნება ბიძის ხსოვნას...)

ვიწრო ოთახი ყელში უჭერდა, მორყეულ, ჟანგისგან შეჭმულ, რკინის საწოლზე ჩამომჯდარიყო, ერთადერთ ქონებას-ცარიელ ჩანთას დასჩერებოდა და ფიქრობდა, როგორ გაეფანტა კოშმარები, რომლებიც გზად ადევნებოდა.... ნუგეშისმცემელი არავინ იყო, კარის ზღურბლს მიღმა საშინელი აურზაური ისმოდა, ადამიანები საცხოვრებელ ფართებს ვერ ინაწილებდნენ...თითქოს, არ ეყოთ რაც გამოიარეს, ჯავრს ერთმანეთზე იყრიდნენ...

საბუთები უნდა მოეწესრიგებინა, შენობის მიმდებარედ სამარშრუტო ტაქსი გააჩერა და უცებ, ადამინების ცინიკური მზერა იგრძნო, გაახსენდა რომ „დევნილი“ იყო და მოერიდა თავისი ყოფის...ეს იყო უჩვეულო გრძნობა, რომელსაც უნდა შეგუებოდა, ვინ იცის, რამდენი ხნით...

...სოხუმელი არ იყო, თუმცა, უკვე დიდი ხანია იქაურობა შეესისხლხორცებინა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს , არსად წასვლაზე არ უფიქრია, კვლავ თავის ჩვეულ საქმეს განაგრძობდა და ცდილობდა „გაუგებრობა“ ჩაეშოშმინებინა, მაგრამ „გაუგებრობა“ უძირო იყო, ამიტომაც აბა, რას გააწყობდა?! ერთ დღესაც, დიდი სამეგობრო წრიდან შეატყობინეს, რომ თუ ტერიტორიას სასწრაფოდ არ დატოვებდა, სასიკვდილო განაჩენი ელოდა... ბევრი იფიქრა, აუცილებელი ნივთები აიღო, კარის გასაღები მხოლოდ ერთხელ გადაატრიალა, იმ იმედით, რომ უკან მალევე დაბრუნდებოდა და კოდორის ხეობას მიაშურა... გზად უამრავი საშინელი სურათის მოწმე გახდა, ადამიანებს იქით ეხმარებოდა, თუმცა, თავადაც ძალაგამოცლილი იყო...

ქალაქის განაპირას მდგარი უზარმაზარი, დიდი ხნის მიტოვებული, გაჭვარტლული შენობა სწორედ ის იყო, რომელმაც აფხაზეთიდან დევნილების ნაწილი შეიფარა...მეგრულ-სვანურ დიალექტებში მოხუცების ვიშვიში და ბავშვების ტირილი არეულიყო...მათთვის ყველაფერი თავიდან უნდა დაწყებულიყო, ოღონდ, ოჯახის წევრ გამოკლებულ ადამიანების გარეშე.

ვინაიდან ქვეყანას მსგავსი გამოცდილება არ ჰქონდა, არ იცოდა ის საჭიროებები, რითიც დევნილებს მყისიერად უნდა დახმარებოდა... არც რესურსი ჰქონდა, თუმცა, დროთა განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულმა საკვებმა პროდუქტმა და პირველადი მოხმარების ნივთებმა ამ ადამიანების ყოფა ცოტათი შეამსუბუქა...იყვნენ კერძო ბიზნესმენებიც , რომლებიც დევნილებს საქსოვ შეკვეთებს აძლევდნენ, ვისაც ხელსაქმე ეხერხებოდა, გარდა ფულადი რესურსისა, ეს საქმიანობა მათ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაშიც ეხმარებოდა. სახელმწიფო სრულად ახდენდა კომუნალური გადასახადების სუბსიდირებასაც, დაურიგდათ სამგზავრო ბარათები, რითიც ავტობუსებში და მეტროპოლიტენში ისარგებლებდნენ. თუმცა, დახმარებები საკმარისი არ იყო, ამიტომ მათთვის „ვაგზალი“ ნამდვილი თავშესაფარი გახდა...დევნილები, მასიურად, ყიდვა-გაყიდვით ირჩენდნენ თავს და სადგურის მოედანზე, ნელ ნელა გაჩნდა ადგილები: „მეგრელების ბაზრობა“, „სვანების ბაზრობა“... ცარიელი „დროებით სამყოფელებიც“ ნელ-ნელა შეივსო...

-მოდი, გოგო, ნახე, როგორი „დივან-კრესლოები“ დავდგი, მერე „სტენკასაც“ ვიყიდი, აქ ფარდაგს მივაფარებ, რა უჭირს მერე...„კოფე“ არ გაგვიცივდეს... აფსუს, რა ცხოვრება დავტოვე, „დვარეცში“ ვცხოვრობდი...

ამ ხუჭუჭა ბიჭს აივანზე რომ დგას და გზას გაჰყურებს, სანამ აქამდე მოაღწევდა, გზად, ავადმყოფი დედა გარდაეცვალა, მამა აფხაზეთში, თავისი მიწის დასაცავად დატოვა, აქ მხოლოდ შავებში ჩაცმულ ბებიის ანაბარაა დარჩენილი, ბებია ასაკიანია, პირქუში სახე აქვს და მის დანახვაზე ყველას უსიამოვნო ჟრუანტელი უვლის...ბებიას, ალბათ, არასდროს გაახსენდება, რომ ბიჭი პატარაა და მოფერება სჭირდება...

ისინი 5 წლის ტყუპები არიან, არაფერი ესმით თავიანთი ყოფის, ცელქობენ და ხანდახან გაკვირვებულები უსმენენ ქვითინს, შიგადაშიგ, ოთახების მიღმა რომ ისმის...

ამ სიმპათიურ ბიჭზე, კორპუსში მცხოვრები გოგონები რეებს აღარ ჰყვებიან, თურმე, სკოლაში საუკეთესო მოსწავლე, სპორტითაც ყოფილა დაკავებული და საკმაოდ დიდი მიღწევები ჰქონდა, თანატოლებში სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა, თავიდან აქ დათრგუნულად გრძნობდა თავს, თუმცა, მერე ერთი თბილისელი, თანაკლასელი გოგო შეყვარებია და ცხოვრების ხალისი დაბრუნებია. წყვილი რამდენიმე თვე ერთად დადიოდა, მერე გოგონას მშობლებს გაუგიათ, ბიჭი დევნილი რომ იყო და გოგო სხვა სკოლაში გადაუყვანიათ, ეგ მანდ შენ თავს არ დაგანებებს და აბა, ისე, რა შენი შესაფერისიაო....

დერეფანში ყავარჯნებით ძლივს რომ გადაადგილდება, ცალი ფეხი ყუმბარის აფეთქებისას დაკარგა, მერე, თვეების განმავლობაში, საავადმყოფოში იწვა, ფეხი კი დაკარგა, მაგრამ სიცოცხლე შეინარჩუნა და ასე თუ ისე, მადლიერი იყო.... თუმცა, ხვდებოდა, რომ ამ მდგომარეობაში მუდამ სახელმწიფოს დახმარებაზე თუ ადამიანების კეთილ ნებაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული....

კაცი?! კაცმა ფიზიკურად შრომა გადაწყვიტა, აბა, თავის მეცნიერულ მიღწევებს ამ ეტაპზე ვერსად გამოიყენებდა.... მერე ისევ პროფესიული კუთხით განაგრძო საქმიანობა... ყველგან სიკეთეს და იმედს ტოვებდა, მაგრამ ფერები გაეცრიცა და „უჩვეულო გრძნობებს“ სამუდამოდ დაემშვიდობა...

....

გაჭვარტლული კორპუსი ისევ ქალაქის განაპირას დგას, მის ხიზნებს ისევ დევნილები ჰქვიათ, ისინი ისევ იცდიან და ელოდებიან...

თათია ძინძიბაძე

ხაშურში ვაქცინირებულთა რაოდენობა 8 ათასს გასცდა

(დასასრული)

ვირუსის ალფა შტამი ოჯახში მხოლოდ ერთს აავადებდა, ამჯერად ოჯახში კოვიდ 19 - **ის ერთ წევრზე დაფიქსირების შემთხვევაშიც, მთელი ოჯახი ვირუსდება**. მით უფრო **როდესაც არ ხდება რეგულაციების, მათ შორის დისტაციის დაცვა.**

- ბატონიო დავით, როგორ მიმდინარეობს იმუნიზაციის პროცესი?



-- **უნდა აღინიშნოს, რომ შემცირდა ვაქცინაციის მაჩვენებელი ბოლო ერთი კვირის შუალედში. ყოველდღიურად აცრილების რაოდენობა 200 აჭარბებს, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდა პირველადად აცრილთა მაჩვენებელი.** ხაშურში, **კვლავინდებურად ყველა სახის ვაქცინით მიმდინარეობს აცრები. ორშაბათს სინოვაკით და ასტრაზენეკით ტარდება მოსახლეობის ვაქცინაცია, სამშაბათსა და ოთხშაბათს - ფაიზერით**, ხუთშაბათ**სა და შაბათს კი სინოფარმით. ვაქცინაციის პროცესში ჩაერთო სურამის სადაბო პოლიკლინიკაც. სამხედრო ექიმთა მობილური ჯგუფები კი ვაქცინაციას სოფლებში ატარებენ. მათ მიერ ვაქცინირებულია ცხრამუხის, ქვიშხეთის, ალის, ვაყის**, ნაბახტევის მოსახლეობა...

-- ბატონო დავით, სტატისტიკურად კოვიდ დადებითი შემთხვევების ძირითადი წილი აცრილ თუ აუცრელ მოსახლეობაზე მოდის**?**

-- **კოვიდ** 19 გავრცელების შემთხვევები გვაქვს როგორც აცრილ, **ისე აუცრელ მოსახელობაში, მაგრამ ჩვენი დაკვირვებითა და შეფასებით ძალიან მსუბუქად მიმდინარეობს აცრილ მოსახლეობაში დაავადება, ერჯერადად აცრილებშიც კი. თუმცა არ არის ხშირი აცრილი მოსახლეობის დაინფიცირების შემთხვევები. ორჯერადად აცრილ ადამიანებში შესაძლოა დაფიქსირდა მხოლოდ 2 ან 3 შემთხვევა ვირუსით დაინფიცირების. და აქაც დაავადების ძალიან მსუბუქი მიმდინარეობით.**

-- ბატონო დავით**,** რას უკავშირებით გასულ პერიოდში ვაქცინაციის მნიშვნელოვნად გაზრდილი მაჩვენებლის ასეთ მკვეთრ კლებას**?**

-- **ალბათ, ისევ და ისევ ანტივაქსერებს**... გასაძლიერებელია ჩვენი მუშაობაც, **მოსაახლეობის აქტიური ჩართვა ვაქცინაციის პროცესში. საკმაოდ ცუდ გავლენას ახდენს მოსახლეობის განწყობებზე სოციალური მედია... თუნდაც ერთი უარყოფითი ინფორმაცია უფრო ვრცელდება და მეტად სარწმუნოა სოციალური მედიის მომხმარებლებისათვის, ვიდრე ექიმების, სპეციალისტების მიერ გაჟღერებული, ახსნილი და მიწოდებული ინფორმაცია ვაქცინაციის აუცილებლობის შესახებ.**

მინდა მოსახლეობას ვუთხრა, რომ მე არ ვარ მომხრე შეზღუდვების, თუმცა უნდა მკაცრად იქნას დაცული ეპიდემიოლოგების მიერ მოწოდებული და დადგენილი რეგულაციები. თუ ყველაფერი იქნება დაცული, დღის წესრიგში არ დადგება შეზღუდვების დაწესების აუცილებოლობა, მით უფრო რომ ახლოვდება 4 ოქტომბერი და ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, ყველა სკოლაში საკლასო ოთახებში დაიწყოს სწავლა... ამოტომ, უპირველესად ყველა მშობელს ვთხოვ, რომ აიცრას. ბავშვი ოჯახში არ დაინფიცირდება, თუ მშობელი იქნება ვაქცინირებული და ვირუსისაგან დაცული. მოვუწოდებ მათ დაიცვან თავისი და ბავშვების, შვილების ჯანმრთელობა. დავეხამოთ ერთმანეთს, რომ ეს დიდი სენი დავძლიოთ და განვთავისუფლდეთ მისგან...

თეა ახალკაცი

-აქტუალური თემა-

შესაბამისი რესურსი არის, საჭიროა ახალი ინიციატივები და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

ძვირფასო რედაქცია! ვხედავ რა, თქვენს დიდ დაინტერესებას, აქტუალური საკითხების გაშუქების თვალსაზრისით, იმედი მაქვს, ჩემს მიერ მომზადებულ მასალას გამოაქვეყნებთ, რამეთუ, საგაზეთო მასალა ზუსტად ემთხვევა ქვეყნის, რეგიონების და ცალკე მუნიციპალიტეტების იმ პოტენციალის ამოქმედებას, რომელმაც სტიმული უნდა მისცეს ისეთი საწარმოების შექმნას, რომელთაც მუნიციპალიტეტის ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით, შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მუნიციპალიტეტის სამრეწველო პოტენციალის განვითარებაში, ნარჩენების გადამუშავებისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლებაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტი ბუნებრივი ტყის მნიშვნელოვან რესურს ფლობს, არსებული სიმდიდრე კი, ფაქტობრივად, გამოუყენებელია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტებს, როცა ტყეებში ადგილი აქვს ბრაკონიერობას და სხვა არაკანონიერ ქმედებებს.

თუ მავანნი დაინტერესდებიან და რეალურ ინვესტიციებს ჩადებენ, ან ადგილობრივ მეწარმეებს დააინტერესებენ და ხელს შეუწყობენ, საკურორტო მეურნეობისა(სურამი, ქვიშხეთი) და ტურიზმის განვითარებასთან ერთად, შეეძლებათ ააღორძინონ მრეწველობის ის დარგები, რომელთა განვითარების ტრადიციები მრავლად იყო ხაშურსა და მის და-ბა-სოფლებში.

ამჯერად, პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებ მერქნის მოპოვებისა და დამუშავების აქტუალურ საკითხებზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში, მკაფიოდაა აღნიშნული, რომ მსოფლიო რესურსებში, მერქანი მეოთხე ადგილზეა, პლატინის, ოქროსა და ნავთობის შემდეგ. წინა სამის მარაგი, ხანგრძლივი ექსპლუატაციის გამო, შესაძლოა ამოიწუროს, ტყე კი მერქნის ყოველწლიურ მატებას იძლევა, რაც მისი შემდგომი ექსპლუატაციის საფუძველია. დღეს, მსოფლიოში არსებული 30 ათასამდე მერქნიან მცენარეთა სხვადასხვა სახეობებიდან მხოლოდ 5000 სახეობას აქვს სამრეწველო გამოყენება, თუმცა, დღეისათვის დეტალურად შესწავლილია 1500-მდე სახეობის მერქანი, რომელთაგან, მსოფლიო ბაზარზე მხოლოდ 200 სახეობის მერქანი გვხვდება

ყოფაცხოვრებასა და მრეწველობაში ადამიანები იყენებენ მერქნისაგან დამზადებულ 20 ათასამდე სხვადასხვა სახის ნივთს, აქედან, 500-მდე მიღებულია მერქანის მექანიკური გადამუშავებით, ხოლო ყველა დანარჩენი მიღებულია მერქნის ქიმიური გადამუშავებით. ფაქტობრივად, არ არსებობს სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, რომელიც არ იყენებდეს მერქნის ნაკეთობას, ან მისი ქიმიური გადამუშავებით მიღებულ პროდუქტებს.

ვახუშტი ბაგრატიონის თქმით, საქართველოში, იმ დროში, მრავლად იყვნენ "კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა" და უხსოვარი დროიდან იცნობდნენ მერქანს, მისი გამოყენებისა და ათვისების სფეროს. ამასთან, ქართველი კაცი, თავისი პრაქტიკული გამოცდილებით შესანიშნავი მერქანმცოდნე იყო, სამწუხაროდ, აღნიშნული ტრადიციები, დავიწყებას ეძლევა. უქმად ცდება მერქნის ძვირფასი ჯიშების რესურსი, რომლის ეფექტურად ათვისებისა და გამოყენების პირობებში, დასაქმდებოდა ათასობით ადამიანი, შეიქმნებოდა კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ათასობით კუბური

მეტრის ნარჩენის, ნახერხის, წიწვის, ფოთლის, ტოტის, ფესვის ქიმიური თუ მექანიკური დამუშავებით, შესაძლებელ იქნება ტონობით საჭირო პროდუქტი და მრავალი დასახელების ნივთი გამოგვეშვა, შესაბამისად, ბიუჯეტიც შეივსებოდა და ტყეც მოვლილი იქნებოდა.

ფაქტია, რომ ცოდნა და გამოცდილება არც დღეს გვაკლია, მეტყევე ინჟინრები, ხის დამუშავების და ჩუქურთმების მკეთებელი, კვალიფიციური, პროფესიონალი კადრები, მეავეჯე-ინჟინრები, რომელთაც უნარი შესწევთ დაიცვან და გამოიყენონ ჩვენი ეროვნული სიმდიდრე. ტყე-კაფზე დატოვებული ნარჩენებით, აგრეთვე ნახერხით და ბურბუშელით, შესაძლებელია მივიღოთ ისეთი საკვები საფუარი, რომლის გამოყენებით მეცხოველეობაში, მნიშვნელოვნად დაიზოგება მარცვლეულის ფურაჟი.

საინტერესოა, რომ ერთი ტონა საკვები საფუარის ფურაჟში შერევით, საშუალება გვეძლევა, ვაწარმოოთ საქონლის 1 ტონა და ფრინველის 2 ტონა ხორცი.

მერქნის ნახერხის გამოყენება შეიძლება ტექნიკური სპირტის საწარმოებლად. კერძოდ, 1 ტონა მერქნის ნახერხის გადამუშავებით, იმდენივე სპირტი მიიღება, რამდენიც 700 კგ კარტოფილისგან. აღარაფერს ვამბობთ ნახერხისგან საავეჯო და სამშენებლო ფილების დამზადების შესაძლებლობაზე.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით, სკანდინავიის, ერთი კუბური მეტრი მერქნის გადამუშავებით, იღებენ 200 კგ ცელულოზას ან 6000 კვადრატულ მეტრ ცელოფანს, ან 200 კგ შაქარს, 5ლიტრს ხის სპირტს, 200 ლიტრ ძმარმჟავას, ან 70 ლიტრ ღვინის სპირტს, ან 165 კგ ხელოვნურ ბოჭკოს და ა.შ.

ამ მხრივ, ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ მთავარი ის არის, თუ როგორ ვიყენებთ ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეებს, განსაკუთრებით ტყეებს.

სპეციალისტები ალბათ, დაგვეთანხმებიან, რომ ქვეყანაშიც და ხაშურის მუნიციპალიტეტშიც ტყის რესურსი ამოუწურავი არაა, მაგრამ მისი გეგმაზომიერი ექსპლუატაციის პირობებში, შესაძლებელი იქნებოდა მაქსიმალურად გამოგვეყენებინა მისი სასაქონლო ღირებულება.

გასაგებია ის სირთულეებიც, რაც თან ახლავს ჩვენი ტყეებიდან ხე-ტყის გამოტანას(უგზოობა, თანამედროვე საზიდი ტექნიკის უქონლობა), მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, ის უკუგება, რომელიც მერქნის და მისი ნარჩენების სხვადასხვა მეთოდით დამუშავების გზით შეიძლება მივიღოთ.

ასევე, ათვისებულია ტყე-კაფზე დარჩენილი ასობით კუბური მეტრი ნარჩენი(ტოტები, წიწვი, ჯირკი, ფოთლები), რომლებიც ტყეკაფებზე აფერხებენ მცენარეთა ზრდა-განვითარებას და წარმოადგენენ ხანძრისა და მავნე მწერების წარმოქმნისა და გავრცელების კერებს.

ბუნებრივად იბადება კითხვა, განა იაპონელები ან გერმანელები ასეთ სიმდიდრეს ქარს გაატანენ ან ცეცხლში დაწვავენ?

ასევე ცნობილია, რომ იაპონელები მერქნის 100 პროცენტიდან 101=102 პროცენტს იყენებენ. გასაკვირია, ხომ? ისინი თითოეული მოჭრილი ხისგან მაქსიმუმს ითვისებენ, ტყეში არ ტოვებენ ფესვსა და ფოთოლსაც

კი. მახსენდება ერთი ასეთი ფაქტი. საბჭოთა კავშირის დროს, იაპონიას ხუთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმებია ამ ქვეყანასთან ციმბირში ტყის საკმაოდ დიდი ფართობის შესყიდვის თაობაზე. მათ, ხუთი წლის განმავლობაში, პირწმინდად უნდა აეთვისებინათ ტყის რესურსი შესყიდულ ფართობზე და შემდეგ, ტყე იგივე ჯიშის ნერგებით ახლად გაეშენებინათ იგივე ფართობზე.

გადის რამდენიმე წელი და იაპონელები სამუშაოებს არ იწყებენ, გაუკვირდათ ყოფილ საბჭოელებს, უფრო სწორედ, რუსებს. მათ იციან რა იაპონელების პუნქტუალობის შესახებ, ამასთან, ხელშეკრულების დარღვევა რამდენიმე მილიონ დოლარ ჯარიმას ითვალისწინებდა, ეჭვით ტვინი ებურღებოდათ, რას ფიქრობდნენ თავად იაპონელები. იაპონელები კი დინჯად პასუხობდნენ, ხელშეკრულებას არ დავარღვევთო. და, აი, მეხუთე წელს იაპონელებმა მძლავრი ტექნიკით და კვალიფიციური მუშა-ხელით შეუტიეს ციმბირის ტყეებს და 5-6 თვეში პირწმინდად აიღეს შესყიდული ხე-ტყე თავისი ნარჩენებით, ისე, რომ ფესვები და ფოთლებიც არ დაუტოვებიათ.

მთავარი ეს არ არის. იაპონელებმა, სანამ ხელშეკრულებას გააფორმებდნენ, კარგად შეისწავლეს ციმბირის ტყეების მდგომარეობა, თითოეულ ჰა-ზე ტყეების ბუნებრივი მატების პროცენტი და საბოლოოდ იმ ოთხ წელიწადში, როდესაც თითქოს პასიურობდნენ, დამატებით ათასობით კუბური მეტრი ხე-ტყე წაიღეს, ფაქტობრივად, მუქთად ამას რუსები გვიან მიხვდნენ. ასე იქცევა ჭკვიანი, აზრიანი მეწარმე. მეორე მაგალითსაც მოვიყვან: იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულება იდებოდა. საბჭოელებმა იაპონური რადიო-ელექტრონული საქონლის ავტომობილების, დაზგა-დანადგარების შესყიდვაზე გაამახვილეს ყურადღება. თქვენ რას შეისყიდით ჩვენგანო, უთხრეს რუსებმა. თან წარუდგინეს ნუსხა საბჭოთა კავშირში გამოშვებული პროდუქციის შესახებ. იაპონელებს ბევრი არ უფიქრიათ, მილიონობით დოლარი გა

იღეს რკინის შემცველი სპორტული ინვენტარის (ბირთვი, ბადრო, შუბი) და ასევე სხვა ნაკეთობების შესყიდვაზე. რუსები სახტად დარჩნენ, ასეთი მაღალგავითარებული ქვეყანა რაზე ხარჯავს ფულსო. როგორ გგონიათ, იაპონელებს არ შეეძლოთ მისი წარმოება საკუთარ ქვეყანაში? სამწუხაროდ, რუსები გვიან მიხვდნენ, რომ იაპონელებმა ძალიან იაფად შეიძინეს როგორც ნედლეული, ე.ი. მათ ფაქტობრივად რკინა შეიძინეს, რომლითაც მილიონობით დოლარის სხვადასხვა მაღალტექნოლოგიური ტექნიკა და ავტომობილი შექმნეს და მნიშვნელოვნად გაზარდეს ქვეყნის ბიუჯეტი.

სწორედ ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყანა, მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნებს შორისაა და თვით ა.შ.შ-საც მრავალ დარგში, სერიოზულ კონკურენციას უწევს.

მართალია, დღევანდელ ვითარებაში, ჩვენი იაპონელებთან გატოლება ზოგიერთს ღიმილს მოგვრის, მაგრამ თუ ორიენტირი არ გვექნება წინსვლისა და პერსპექტივის გზების დასახვაზე, ფიქრიც კი ზედმეტია.

ვფიქრობ, დროა გამოვფხიზლდეთ, მარტო სხვის იმედად ყოფნა, სიკეთეს ვერ მოგვიტანს, ავამოქმედოთ რეზერვები და ბერკეტები, რომლებიც ტყეების რესურსების გამოყენებას ითვალისწინებს, ამით ხომ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესებთ ჩვენი ქვეყნის და მაშასადამე რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ხმა მიეცით მშვიდობას, სტაბილურობას, წინსვლას... განვითარება ყველა რეგიონს

41 41

- მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი -

თენგიზ ჩიტიაშვილი: მჯერა ჩემი ამომრჩევლების გონიერების და ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ 2 ოქტომბერს ისინი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ

მინდა უშუალო და უბრალო საუბარი მქონდეს ჩემ ამომრჩეველთან...

სად დავიბადე,სად გავიზარდე, ვინ არიან ჩემი მშობლები, დედმამიშვილები, ჩემი ბებია-ბაბუა, როგორ ოჯახურ ტრადიციებზე ვარ აღზრდილი და ა.შ. ეს ჩემმა ქალაქმა ძალიან კარგად იცის.

უცხოური ვორკშოპებითა და ტრენინგებით თავის მოწონებას არ დავიწყებ, თუმცა არც ასეთი აქტივობებია ჩემთვის უცხო, გავლილი მაქვს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუროს და იუსტიციის დეპარტამენტის გამოძიების ფედერალური ბიუროს ანტიტერორისტული ასოციაციის პროგრამა, მონაწილეობას ვიღებდი ნორვეგიულ იურიდიულ კონსულტანტთა მისიაში და ა.შ.

ჩემი აზრით, არანაირ მცდელობას, იდეას, წინადადებას და ფურცელზე დარჩენილ პროექტს აზრი არა აქვს, რომელიც არ იქნება რეალიზებული და არ მოემსახურება ხალხის ინტერესებს, ასე, რომ თუ არა ვართ უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღები, თავსაც ნუ მოვიწონებთ.

რატომ მოვდივარ პოლიტიკაში?

იმიტომ, რომ არსებული რეალობა შევცვალო და მოსახლეობას შემდეგი შეკითხვები აღარ გაუჩნდეს:

- როდის მოგვარდება ელემენტარული საარსებო რესურსი-წყალი?
- როდის მოგვარდება საკანალიზაციო სისტემა?
- როდის მოგვარდება გზის პრობლემა?

ამ შეკითხვებს დიდი ხანია სვამს ხაშურის მოსახლეობა, ჩემ გუნდთან ერთად სწორედ ამ პრობლემების მოგვარებით დავიწყებ საქმიანობას.

-რას ვკითხულობ? ვიცნობ თუ არა თანამედროვე მწერლების, პოლიტიკოსების, სოციოლოგების შეხედულებებს? მოგახსენებთ, რომ ვიცნობ არაერთი თანამედროვე პოლიტიკოსისა თუ სოციოლოგის მოსაზრებას, მათ შორის ინგლისელი პოლიტიკოსის ჯონ გრეის შეხედულებებს, ვკითხულობ იურგენ ჰემბერმესის წიგნს „ფიქრი სწრაფად და ნელა“, სადაც ის საუბრობს გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული საკითხების ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, თვალს ვადევნებ იანის ვარუფაკისის გამოსვლებს, რომელიც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში ერთ-ერთი პოპულარული და წინააღმდეგობრივი ფიგურაა...

ცნობილი ფრანგი მწერალი ანტუან დე სენტ ეკზიუპერი არასოდეს ყოფილა პოლიტიკოსი, მაგრამ საოცარი ზნეობრივი კრედო ჩამოაყალიბა, იგი წერს: „განათლებულ ადამიანებს გააჩნიათ მინიმალური თვითმოთხოვნილებები და მაქსიმალური ვალდებულებები... განათლებული ადამიანი ვერასდროს განიცდის პირად კეთილდღეობას და ბედნიერებას, თუ მის ქალაქში, სოფელში, ქუჩაში, ხელგამოწვდილი მოხუცი ან ბავშვი მათხოვრობს.“

ამომრჩეველთან საუბარს ცნობილი ჩინელი ფილოსოფოსის კონფუცის მოსაზრებებით დავასრულებ, რომელიც ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე 500-400 წლებში თავის ნაშრომებში წერდა, რომ საუკეთესო მმართველობა არის ის, რომელიც ხალხს მართავს წესებითა და ჭეშმარიტი მორალით.

მჯერა ჩემი ამომრჩევლების გონიერების და ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ 2 ოქტომბერს ისინი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ქართული ოცნების მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატები

მერაბ ცხოვრებაძე

მაჟორიტარობის კანდიდატი - **ხაშურში** (## 1, 6, 7, 9, 10, 11, 43, 46 საარჩევნო უბნები);

ალექსანდრე სიმონიშვილი

მაჟორიტარობის კანდიდატი - **ხაშურში** (## 14, 2 ,3, 4, 5, 44 საარჩევნო უბნები);

გოდერძი არჯევანიძე

მაჟორიტარობის კანდიდატი - **ხაშურში** (## 8, 12 , 13, 42, 45, 49, 50 საარჩევნო უბნები);

ლევან გამრეკელი

მაჟორიტარობის კანდიდატი - **ოსიაური, წრომი, ხცისი, ხალები** (ზემო ოსიაური, ახალსოფელი, ქვემო ოსიაური, ნარუჯები, ღუდა; წრომი, ახალშენი, დიდი ყელეთი, პატარა ხავლეთი, იმერლიანთ კარი,; ხცისი, დიდი თხილნარა, კრისხევი, მიწობი, პატარა თხილნარა; დიდი ხალები, პატარა ხალები, მჭვრიე წყალი, სარტყელა, ღართა, ალექსანდრეს წყარო);

ზაზა სხილაძე

მაჟორიტარობის კანდიდატი - **ალი, წაღვლი** (ალი, ბრილი, ნაბახტევი, დუმაცხოვი, ცხეთიჯვარი, ქინძათი, კლდისწყარო, ზ. აძვისი, ახალუბანი, უწლევი, წაღვლი, ზემო ბროლოსანი, კლდისწყარო, ტიტვინისწყარო, ქვემო ბროლოსანი, ყობი, ჩორჩანა, წეღვერი);

მუხრანი ჩადუნელი

მაჟორიტარობის კანდიდატი - **ქვიშხეთი, ცხრამუხა** (ქვიშხეთი, ბეღლეთი ბულბულისციხე, მონასტერი, რუსიაანთ უბანი, სავანის უბანი, სათივე, სარმანიშვილის კარი, ტაშისკარი, ტეზერი, ყიფიაანთ უბანი,; ცხრამუხა, თაგვეთი, რბონა, დამჩხეულა, ქაშუეთი, კოდიწყარო, ჯვართმუხა);

დავით მეტრეველი

მაჟორიტარობის კანდიდატი- **გომი, ფლევი** (გომი, აგარები, სატივე, ვაყა, ქვემო აძვისი, ხიდისყური, დიდი ფლევი, პატარა ფლევი, ნაცარგორა, ტკოცა);

მაყვალა მაისურაძე

მაჟორიტარობის კანდიდატი - **სურამი** (დაბა სურამის სადაბო ცენტრი, ბიჯნისი, ზეკოტა, ურთხვა, პატარა ბეკამი, დიდი ბეკამი, ჩუმათელეთი);

ნოდარ ლომიძე

მაჟორიტარობის კანდიდატი - **ცოცხნარა** (ცოცხნარა, ქემფერი, ოძისი, ცივწყარო, ცედანი, წაბლოვანა, ნირვანა,);

წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერის სრული რეაბილიტაცია დაიწყო

ხაშურის ცენტრალური მოედნისდ მიმდებარე სკვერი, რომელიც წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელს ატარებს, კარგა ხანია მოდერნიზებას ითხოვდა. ეს სკვერი ხაშურელების ერთ-ერთი საყვარელი დასასვენებელი ადგილია და ქალაქის ცენტრში მდებარეობა მისი პოპულარობის მთავარი „მიზეზია“. არა,

ცუდ შთაბეჭდილებას სკვერი არც აქამდე ტოვებდა,მაგრამ,ფაქტია მისი უკეთესი ვიზუალის ხილვის სურვილი თითოეულ ჩვენგანს მუდამ ჰქონდა. ახლა კი ეს სურვილი რეალობად იქცევა და 63 კალენდარულ დღეში (ხელშეკრულება ამას ითვალისწინებს) სკვერი სრულიად რეაბილიტირებული გახდება. მშენებლობას შპს „არბა“ აწარმოებს და საპროექტო ღირებულება 566 ათას ლარს შეადგენს.

საპროექტო გადაწყვეტილებით სკვერი შეინარჩუნებს არსებულ მთლიან და შიდა გეგმარებას. მთლიანად შეიცვლება სავალი ბილიკების საფარი, რომელიც გრანიტის ფილებით მოპირკეთდება. იგივე ფილებით მოეწყობა ბორდიურები,

გარდა კუთხეებისა,სადაც ზოლოვანი ფილები განთავსდება. მოეწყობა აგრეთვე ახალი კედელი და კიბეები, რომელსაც ტრავერტინის ფილები დაამშვენებს. მთლიანად შეიცვლება საპარკე სკამები და ტანამედროვე ურბანული ინვენტარით ჩანაცვლდება. სახეს იცვლის ცნობილი შადრევანიც. იგი, ფაქტობრივად, ტავიდან ასენდება და ე. წ. „მშრალ“ შადრევნად გადაკეთდება. გადაკეთდება მისი სისტემის მოწყობასაც გულისხმობს. და ბოლოს განათება. არსებული იცვლება და სკვერს ისეთიგანათება ექნება, რომელიც სრულიად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

მაშ ასე, წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია დაიწყო და ნოემბრის ბოლოს იგი სრულიად სახეშეცვლილი „წარსდგება“ ხაშურელების წინაშე.

სურამელი მოსწავლეები გარემოზე ზრუნავენ

„იმოქმედე გარემოსთვის“ პროექტის ფარგლებში, 19 სექტემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, ორგანიზაცია „Let s Do It - საქართველომ,“ ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით საინტერესო ღონისძიებები მოაწყო. გარემოსდაცვითი თემატიკით მოიხატა სურამის კულტურის სახლის ფასადი, დასუფთავდა სამი ლოკაცია: სურამის ყოფილი რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია, სურამის ციხის მიმდებარე ტერიტორია და ჩუმათელეთი.

პროექტის ფარგლებში, გაიმართა სახალისო ვიქტორინები, რომლის გამარჯვებულებსაც მაისურები, კეპები და ჩანთები გადაეცათ.

ადნიშნული ღონისძიებები ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და უშუალოდ, ხაშურის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

ღონისძიებაში, აქტიურად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა

სამსახურის თანამშრომლები და მერის წარმომადგენელი დაბა სურამში.

აქციის ორგანიზატორების განმარტებით, პროექტი სამომავლოდაც გაგრძელდება და მოიცავს „მწვანე ბანაკებს“, გარემოსდაცვითი კუთხით, სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგებს, სადაც იქნებიან ჩართულები ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები.

აღსანიშნავია, რომ 19 სექტემბრის ღონისძიებები, კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე, უსაფრთხოებისა და ჰიგიენური ნორმების სრული დაცვით ჩატარდა.

D სიმონ (სულიკო) ბარბაქაძე

მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სიმონ (სულიკო) შალვას ძე ბარბაქაძე და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სიმონ ბარბაქაძე დაიბადა 1936 წელს, ხაშურში, სადაც მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1960 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. ამავე წლიდან შეუდგა მუშაობას პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოძრავი შემადგენლობის კათედრაზე. პარალელურად მუშაობდა სამეცნიერო-სამეურნეო კვლევით თემებზე უმცროს მეცნიერთანამშრომლად.

1964 წლიდან ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა საინჟინრო გრაფიკისა და სამრეწველო დიზაინის დეპარტამენტში, სადაც განვლო გზა ლაბორანტიდან პროფესორის თანამდებობამდე.

1974 წელს დაამთავრა ლენინგრადის (ამჟამად სანკტ-პეტერბურგი) საინჟინრო გრაფიკის კათედრასთან არსებული ასპირანტურის სრული კურსი. 1983 წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი ტექნიკის მეცნიერებათა ხარისხის მოსაპოვებლად მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.

ბოლო წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გრაფიკისა და სამრეწველო დიზაინის დეპარტამენტის პროფესორი და მასთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის ნაშრომის ავტორი, აქვს 4 საავტორო მოწმობა გამოგონებაზე, რომელიც ეხება ცალმხრივი ზედაპირის (მებიუსის ფურცელი) პრაქტიკულ გამოყენებას ტექნიკაში.

პროფესორი სიმონ ბარბაქაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამი სამეცნიერო საბჭოს წევრი, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალ „ტრანსპორტის“ სარედაქციო საბჭოს წევრი გახლდათ, განათლების სამინისტროს მიერ დაჯილდოებულია საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე.
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.